უფასო

ჩემი გაზეთი

23 ოქტომბერი
2018 წელი

№7 (35)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ბაღდათის ზეცა — სულის ეკოლოგია

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ეკო-ხელოვნების ფესტივალი „ბაღდათის ზეცა – სულის ეკოლოგია" გაიმართა, რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის 125 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. ფესტივალი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და ოფიციალურად 8 ოქტომბერს გაიხსნა. საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ბაღდათში სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიება გაიმართა. ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს უცხოელ შემოქმედებთან ერთად მაიაკოვსკის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი მწერლები და მთარგმნელები სტუმრობდნენ, რომელთა მონაწილეობითაც სალონური შეხვედრა მოეწყო. ფესტივალის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გერმანიიდან და რუსეთიდან მოქანდაკეები, მხატვრები, ხეზე და ქვაზე კვეთის ოსტატები სტუმრობდნენ. ისინი, ერთი კვირის განმავლობაში, მუშაობდნენ და ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდნენ. უცხოელ სტუმრებს საორგანიზაციო ჯგუფმა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში უმასპინძლა და ბაღდათის ღირსშესანიშნაობები გააცნო. ვლადიმერ მაიაკოვსკის 125 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ეკოხელოვნების ფესტივალი „ბაღდათის ზეცა – სულის ეკოლოგია" 12 ოქტომბერს ბაღდათობის ტრადიციული სახალხო დღესასწაულით დაიხურა. „ბაღდათობა 2018" მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ცენტრში გამოფენილი იყო

ფესტივალის მონაწილეებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელების მიერ შესრულებული ნამუშევრები, ადგილობრივმა მეღვინეებმა კი თავიანთი ნაწარმი წარმოადგინეს. ცენტრალურ მოედანზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები ჭადრაკში, მკლავჭიდსა და ჭიდაობაში. პატარებისთვის ფუნქციონირებდა საბავშვო-გასართობი ატრაქციონები. ბაღდათობის დღესასწაული გალა-კონცერტით დასრულდა, სადაც ბაღდათის 5 საპატიო მოქალაქე დაჯილდოვდა.

13 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ნატურალური პროდუქტების ფესტივალი გაიმართა, სადაც მოწყობილი იყო მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის ეთნოგრაფიული კუთხე და იმერული სამზარეულო. ფესტივალის ქართველ და უცხოელ სტიმრებს შეეძლოთ იმერული კერძები და ღვინოები დაეგემოვნებინათ. ფესტივალის ფარგლებში ბაღდათში მცხოვრებმა მეღვინეებმა სხვადასხვა ყურძნის ჯიშებისგან დაყენებული თეთრი და წითელი ღვინოები წარმოადგინეს. კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც ქუთაისის ეროვნული აკადემიის წევრებისგან იყო დაკომპლექტებული, გამარჯვებული მეღვინეები გამოავლინა.

დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

2018 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 8 პროექტი დაფინანსდა, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება 3 848 035 ლარს შეადგენს. 5 პროექტზე სამუშაოები უკვე დასრულებულია. ესენია: სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის; სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის; ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის; სოფ. ფერსათიდან სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და სოფ. დიმში, მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. მათგან გარდამავალია და მომდევნო წელს დასრულდება სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზისა და სოფ. დიმში, მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს 3 ობიექტზე, ამათგან ერთი – სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია გასულ წელს დაიწყო და წელს დასრულდება, ხოლო ორი პროექტი – სოფელ ზედა დიმში ე.წ. წყაროს უბნისა და სოფელ დიმში ნერგაძეების უბანში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია 2018 წლის მეორე ნახევარში დამტკიცდა და სამუშაოები წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გასული წლის ოქტომბრის სტიქიის (წვიმა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოიყო 1 700 000 ლარი. გარკვეული პრობლემების მიუხედავად, რომელიც გამოწვეული იყო პროექტანტის მხრიდან, 2018 წლის პირველ ნახევარში სამუშაოები განხორციელდა 7 ობიექტზე, მათმა საერთო ღირებულებამ 107 000 ლარი შეადგინა. დღეის მდგომარეობით ხელშეკრულებები გაფორმებულია მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებზე. მიმდინარე წელს სტიქიის შედეგების სარეაბილიტაცო სამუშაოები დაგეგმილია 46 ობიექტზე, რომლებიც, ტენდერების განხორციელების შემთხვევაში, სრულად იქნება რეაბილიტირებული.

ინფორმაციის მისაღებად „ჩემი გაზეთის" გუნდი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს კახა მსხვილიძეს ესაუბრა.

ანა ქორიძე

ღვაწლით ბაღდათელები

ელისე ფორჩხიძე დაიბადა ბაღდათში 1929 წელს. პროფესიით არის ინჟინერ-მეტყევე. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა საირმის სატყეო მეურნეობაში, სადაც 7 წელი დაჰყო. ამ პერიოდში გარდაიცვალა ბაღდათის სატყეო-მეურნეობის მაშინდელი უფროსი და ბატონი ელისე მთავარ მეტყევედ გადმოიყვანეს. საუბრისას ის ამაყად ამბობს, რომ ბაღდათის რაიონში არსებული სახლების უმეტესი წილი მისი მუშაობის პერიოდში აშენდა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველას ეხმარებოდა. ბაღდათის კულტურის სახლის მშენებლობაზე კი, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მიიტანეს დაახლოებით 200 მ^3 წაბლის ჯიშის მასალა. წარმატებული მუშაობის გამო მინისტრმა სატყეო-მეურნეობის სამინისტროში მთავარ ინჟინრად დანიშნა, ხოლო 2 წლის შემდეგ თბილისის ზღვაზე დირექტორის მოადგილედ გადაიყვანა. ამ სფეროში ნახევარ საუკუნეზე მეტი იმსახურა. მეუღლე უკვე 22 წლის გარდაცვლილია, ჰყავს 6 შვილი, 6 შვილიშვილი და 7 შვილთაშვილი.

გურამ ჩხეიძე 1953 წლის 23 იანვარს დაიბადა მეორე ობჩაში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს (1969) ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მელიორაციის ფაკულტეტზე. 1974 წლის თებერვალში განაწილებით მოხვდა ყოფილი წულუკიძის (ხონის) რაიონში „წულუკიძის ჩაის მეურნეობაში", სადაც პატიმრები მუშაობდნენ, ჩააბარეს ორი ბრიგადა. მისი თქმით, ყველაზე პატიოსანი სამჯერ ნასამართლევი იყო ყაჩაღობაზე. ორთვიანი მუშაობის შემდეგ სამხედრო სამსახურიდან მიიღო უწყება და სახალინზე, ქალაქ პეტრე-პავლოვ სკამჩასტკში გაიწვიეს. იქიდან დაბრუნების მერე ისევ ხონში, სოფელ ახალბედისეულში დაბრუნდა მთავარ აგრონომად. ერთი წლის თავზე სოფლის მეურნეობის სამმართველოში გადავიდა მთავარ მელიორატორად, შემდეგ პარტიული კუთხით მოხვდა ხონის კომკავშირის რაიკომის მესამე მდივნად, ერთ წელიწადში მეორე მდივნად, ხოლო 3 წელი პირველ მდივანად იმუშავა. შემდეგ იყო ბაღდათის შინაგან საქმეთა განყოფილება – შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მოადგილე პოლიტდარგში, მერე გადავიდა მოადგილედ ოპერატიულ დარგში, მოგვიანებით კი მოადგილედ კადრების დარგში. 1991 წლის დასაწყისში სამაჩაბლოში, საომარი მდგომარეობის გამო, მას და ბაღდათის განყოფილების 20 თანამშრომელს ცხინვალში, სოფელ თამარაშენში მოუწიათ დაბანაკება და, ორი კვირის განმავლობაში, ალყაში იმყოფებოდნენ. მალევე შეიქმნა სამხარეო ადმინისტრაციული აპარატი გენერალ ბუცხრიკიძის მეთაურობით, მან ბატონი გურამი პირადი ინიციატივით კადრებში წაიყვანა მოადგილედ. ამის შემდეგ იყო მის ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდი – აფხაზეთის ომი. საუბრის ამ მონაკვეთში ჩვენი რესპონდენტი უზომოდ ნაღვლიანი იყო, ტკივილით იხსენებს მის გვერდით დახოცილ 19-20 წლის საოცრად ნიჭიერ, გამორჩეულ ბიჭებს. ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ.-ზე





მეექვსე სამმართველო ახალშექმნილი იყო მოადგილედ რომ დაიწყო მუშაობა და, მისი თქმით, 6 თვე მესტიის, ლენტეხის, რაჭისა და გურიის მთებიდან ფაქტობრივად არ გამოსულა. მერე იყო ქუთაისში, ავტოქარხნის პოლიციის უფროსად, შემდეგ დაინიშნა ბაღდათის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, სადაც სამი წელი იმუშავა და ისევ ქუთაისის ავტოქარხნის პოლიციის უფროსად გადავიდა. 2003 წელს, ქ. ქუთაისში, საიდუმლო განყოფილებაში აგენტურის განყოფილების ხელმძღვანელად იმუშავა. 2004 წელს გავიდა პენსიაში. 2007-2008 წლებიდან ჩაერთო აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში. იგი უკვე მეორედ გახდა ბაღდათის საკრებულოს წევრი. 2005 წელს ჩამოაყალიბა საზოგადოება „თეთრი გვარდია“, წევრები წელიწადში ორჯერ ერთმანეთს ხვდებიან და გარდაცვლილების საფლავებზე სანთელს ანთებენ. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, შვილიშვილები. ქალიშვილი ექიმი, ვაჟი კი იურისტია. ბატონი გურამი „საპატიო ბაღდათელობას“ ყველაზე დიდ ჯილდოდ აღიქვამს და მთელი გულით გამოხატავს მადლიერებას თითოეული ბაღდათელის მიმართ.

იუზა კოხოძე დაიბადა 1937 წელს ბაღდათის რაიონის სოფ. ქვედა ზეგანში. 1955 წლიდან 1958 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში კოლწევრად, 1959 წლიდან ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სწავლის პერიოდში პარალელურად დაამთავრა სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული ორწლიანი უნივერსიტეტი ეკონომიკის განხრით. 1963 წელს დაინიშნა ინსპექტორ-ორგანიზატორად. 1964 წლის იანვრიდან 1966 წლის ივნისამდე მუშაობდა სოფ. ზეგნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარედ. 1966 წლიდან მუშაობა დაიწყო საკავშირო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში ტექნოლოგიის განყოფილების გამგედ. 1983 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1988 წელს მიიღო უფროსი მეცნიერ-მუშაკის დიპლომი, სადაც მინიჭებული აქვს უფროსი მეცნიერ-მუშაკის დოცენტის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო ნაშრომი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და სტუდენტთა დასახმარებლად, 36 – რეკომენდაცია. იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, საქ.კპ. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის კონტროლის პალატის შტატგარეშე ინსპექტორი. ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, ტექნოლოგიის კათედრაზე. 1993 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ნ.ნ. სახ.მრავალპროფილიანი აკადემიის ბაღდათის ინსტიტუტის რექტორად. საქ. აგრარულ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს 1998 წლის 12 მაისის დადგენილებით მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება. ჰყავს მეუღლე-ლამარა სამხარაძე, ბიოლოგ-მეცნიერებათა კანდიდატი, ორი ქალიშვილი, ერთი ექიმი-გინეკოლოგი, მეორე იურისტია. ვაჟი, აწ გარდაცვლილი დავით კოხოძე, პროფესიით იურისტი, აფხაზეთის ომის მინაწილე იყო.

ვიტალი ყიფიანი დაიბადა 1937 წლის 5 აპრილს ბაღდათის რაიონის სოფელ მეორე ფერსათში. მამა, ზოსიმე ყიფიანი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების და სხვა მრავალი მედლების კავალერი, დედა – ვერა ნიჟარაძე, დამსახურებული პედაგოგი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მან საშუალო სკოლა ფერსათში დაამთავრა და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, 1977 წლამდე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, 1977 წლიდან ოჯახთან ერთად საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა, იქვე დაამთავრა ტექნოლოგიური ინსტიტუტი და მუშაობდა პროფესიით. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში ცხოვრობდა, მშობლიურ რაიონთან კავშირი არ გაუწყვეტია, უკრაინაში ქართული სათვისტომოს აქტიური წევრი იყო. მისი მონაწილეობითა და თაოსნობით მრავალი ღონისძიება ჩატარდა, დაჯილდოებულია სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქრებით. მან და მისმა ოჯახმა, სოფელ ფერსათში ააშენა წმინდანის – დიმიტრი ყიფიანის სახელობის მონასტერი. ბატონი ვიტალი საცხოვრებლად მშობლიურ კერას დაუბრუნდა, ჰყავს ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და 1 შვილთაშვილი.

ბატონ **ზურაბ მსხვილიძესთან** გასაუბრება სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, რადგან ამჟამად თბილისში ცხოვრობს. იგი დაიბადა 1944 წლის 1 ოქტომბერს. დაამთავრა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლა სამართალმცოდნეობის განხრით. 1967 წელს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში დაიწყო მუშაობა. 1974 წელს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ სამსახურში ინსპექტორად, შემდგომ უფროს ინსპექტორად და მალევე განყოფილების უფროსად დაინიშნა. 1986-1990 წლებში სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსი იყო. 1991-92 წლებში მილიციის უფროსი. 1994 წელს განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი ინსპექტორი, 1995 წელს კი სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 1996-99 წლებში დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. 1999-2004 წლებში პარლამენტში ბაღდათის მაჟორიტარი წევრი იყო. 2001 წელს მიიღო სახელმწიფო ჯილდო „მხედრული მამაცობისათვის“.

აზა მაშანეიშვილი

მერაბ კოსტავა – საქართველოს ეროვნული გმირი



1989 წლის 13 ოქტომბერი მერაბ კოსტავას გარდაცვალების დღეა, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ „ჩემი გაზეთის“ ოქტომბრის ნომერში ამ გამორჩეულ პიროვნებაზე დაგვეწერა.

საქართველოს ისტორიის ყველა ეპოქაში იყო გამორჩეული პიროვნებები, რომლებმაც შეცვალეს ქვეყნის ცხოვრება, მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია მერაბ კოსტავას.

მერაბ კოსტავა დაიბადა 1939 წლის 26 მაისს, ქალაქ თბილისში, ოლღა დემურიასა და ივანე კოსტავას ოჯახში. ბაბუა ვლადიმერ დემურია ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო.

მერაბ კოსტავას პიროვნების ჩამოყალიბებაში ასევე დიდი როლი შეასრულა მისმა ბიძამ, მსახიობმა და პოლიტპატიმარმა გრიგოლ კოსტავამ (მედეა ჯაფარიძის პირველი მეუღლე).

1946 წელს ის შეჰყავთ თბილისის ვაჟთა I სკოლაში, ხოლო მეცხრე კლასიდან, რადგან მას აღმოაჩნდა მუსიკალური მონაცემები, სწავლას აგრძელებს ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალურ სასწავლებელში.

მერაბ კოსტავა ბავშვობიდანვე თავისუფლებისათვის მებრძოლი იყო.

მან სკოლაში გაიცნო ზვიად გამსახურდია, მასთან და რამდენიმე თანატოლთან ერთად დააარსა პირველ პატრიოტულ არალეგალურ ორგანიზაცია „გორგასლიანი“.

1956 წლის დეკემბერში თბილისში რუსთაველისა და პლეხანოვის გამზირებზე გაჩნდა იმ დროისათვის გამაოგნებელი პროკლამაციები – „ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“ – რამაც მათი დაპატიმრება გამოიწვია. ამ დროს მერაბი მეათე კლასის მოსწავლე იყო, მაგრამ, როგორც არასრულწლოვანი, 6 თვის მერე გაათავისუფლეს.

1958 წელს ის ამთავრებს ათწლედს და აბარებს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატიაში, სადაც მისი სადიპლომო ნაშრომი იყო „ბაირონი, დასავლურ ევროპულ სიმფონიურ მუსიკაში.“

კონსერვატორიის დასრულების შემდეგ მუშაობდა რუსთავისა და თბილისის II სამუსიკო სასწავლებლებში.

1967 წლიდან ხდება რედაქტორი ჟურნალისა „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში,“ რომელშიც აქვეყნებს წერილებს ქართული მუსიკისა და თეატრის განვითარების საკითხებზე.

1972 წელს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად აყალიბებს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფს.

რეპრესიები მის წინააღმდეგ არ წყდებოდა. 1977 წლის 7 აპრილს ის ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააპატიმრეს და 3 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო შემდეგ „ხულიგნობის“ მუხლით პატიმრობის ვადა 5 წლით გაუზარდეს და ციმბირში, ქალაქ ანგარსკში გაამწესეს.

1978 წლის ზაფხულში მერაბ კოსტავა ამერიკის კონგრესის მიერ წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე.

1985 წელი, ალბათ, ყველაზე ტრაგიკული წელი იყო მერაბისათვის. ამ წელს ტრაგიკულად დაიღუპა მისი ერთადერთი ვაჟი ირაკლი.

1987 წლის 30 აპრილს პოლიტიკური ზეწოლის შედეგად, 10 წლიანი პატიმრობის შემდეგ, მერაბ კოსტავა სამშობლოში ბრუნდება.

ის მთელი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იღწვოდა, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის დროს ის ბოლომდე ხალხთან იდგა და სცენიდან „შავლეგოს“ მღეროდა.

1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისს მიმავალი მერაბ კოსტავა სოფელ ბორითთან ტრაგიკულად დაიღუპა.

მერაბ კოსტავა საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს და მთაწმინდაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

მერაბ კოსტავას კალამს ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები, „ფიქრი საქართველოს მისიაზე“, „ფიქრები ქართულ კულტურაზე“ და ა.შ.

ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მიენიჭა დავით აღმაშენებლისა და მწერალთა კავშირის პრემიები.

1993 წლის სექტემბერში ქალაქ ზუგდიდში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მესამე მოწვევის მეორე სესიამ მას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

მერაბ კოსტავა ყოველთვის დარჩება ქართველთა მეხსიერებაში როგორც ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწე, თავისი ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანი და ტრაგიკული პიროვნება.

ჯუანშერ გეგეშიძე

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" ბაღდათელ პედაგოგს ერგო

კონკურსი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო" საქართველოში ერთი წლის წინ, 2017 წელს ჩატარდა. იგი კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველო" და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის" ორგანიზებით მოეწყო. გამარჯვებული პედაგოგი 5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღეს გამოვლინდა და 2018 წლის საუკეთესო მასწავლებელი ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის ინგლისური და რუსული ენების პედაგოგი – მანანა კაპეტივაძე გახდა. გამარჯვების შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებსა და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ „ჩემი გაზეთი" ქალბატონ მანანას ეწვია.

– რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში კონკურსში გამარჯვების შემდეგ?

– კონკურსში გამარჯვების შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, ძალიან ხშირად მიწევს სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრება, სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობა, კონფერენციებზე სიტყვით გამოსვლა. შეიცვალა ის, რომ კონკურსის შარშანდელმა და წლევანდელმა ათეულის წევრებმა შევქმენით „ათეულთა კლუბი" და სამომავლოდ რამდენიმე პროექტი გვაქვს დაგეგმილი. ვეცდებით, ჩვენი პროფესიის პოპულარიზაციასთან ერთად მეტ ადამიანს, მეტ ბავშვს შევაყვაროთ მასწავლებლობა. ვგეგმავთ, ერთობლივად გავაკეთოთ საზაფხულო ბანაკი, ასევე გვაქვს სხვა აქტივობები.

– კონკურსში გამარჯვების შემდეგ გრძნობთ თუ არა ადამიანების მხრიდან მეტ ყურადღებასა და პატივისცემას?

– რა თქმა უნდა, ვგრძნობ. ეს ჩანს მათ ზარებსა და მოკლეტექსტურ შეტყობინებებში. ადამიანებთან შეხვედრისას, ვისაც ჩემთან მოსვლა ერიდება, შორიდან მიღიმის. მათ თვალებში სიხარულს ვხედავ. არა მარტო ნაცნობები, არამედ უცხო ადამიანები მილოცავენ გამარჯვებას. ამ მხრივ განსაკუთრებით მინდა ემიგრანტები გამოვყო. ეს ყველაფერი ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ, ამასთანავე, საპასუხისმგებლო.

– რამ გადაგაწყვეტინათ „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" კონკურსში მონაწილეობის მიღება?

– მინდა გითხრათ, რომ საერთოდ არ ვაპირებდი კონკურსში მონაწილეობას. შარშან ჩემმა ვაჟმა – გიორგიმ მთხოვა მეცადა ბედი, მაგრამ არ დავთანხმდი. ვთვლიდი, რომ ეს ახალგაზრდა მასწავლებლების საქმე უფრო იყო. წელს ბაღდათელ პედაგოგებთან შესახვედრად კონკურსის შარშანდელი ხუთეულის ფინალისტი და, ამასთანავე, ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული – ნათია ფურცელაძე ჩამოვიდა. მან მითხრა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით თვალს ადევნებდა ჩემს საქმიანობას და კარგი იქნებოდა, მეც თუ ჩავერთვებოდი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" კონკურსში. ჩემი სკოლის დირექტორი ლალი აბჟანდაძე, ჩემი ვაჟი გიორგიც მირჩევდნენ იმავეს და ამ ყველაფრის შემდეგ გადავწყვიტე მასში მონაწილეობის მიღება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის აღმოჩნდა, რომ აპლიკაციის შევსებისა და გადახედვის შემდეგ დავინახე, თუ რამდენი რამ გამიკეთებია ამ დროის განმავლობაში. კონკურსის ათეულსა და ფინალში საერთოდ რომ არ მოვხვედრილიყავი, გამარჯვებაზე აღარაფერს ვამბობ, მაინც მადლიერი ვიქნებოდი ნათიასი ნახალისებისა და სტიმულის მოცემისათვის.

– ელოდით თუ არა გამარჯვებას?

– ათეულში მოხვედრა იყო ჩემი ყველაზე მაღალი მოლოდინი, ხუთეულში მოხვედრაზე აღარაფერს ვამბობ. კონკურსში მართლაც შესანიშნავი პედაგოგები მონაწილობდნენ. თავიანთ სკოლებში ბევრი კარგი რამ ჰქონდათ გაკეთებული, სხვებისგან გამოირჩეოდნენ თავიანთი აქტიურობით, არ იყვნენ სტანდარტულები. ამდენად, გამარჯვების შანსი ყველას ერთნაირი გვქონდა.

– თქვენი აზრით, რით გამოგარჩიათ ჟიურის წევრებმა სხვა ფინალისტებისაგან?

– ვფიქრობ, იმით, რომ მხოლოდ სკოლით და მოსწავლეებით არ შემოვიფარგლები. ვარ აქტიური, მშვიდობის კორპუსის მოხალისესთან ერთად უამრავი პროექტი მაქვს გაკეთებული: თუნდაც არი ჰაიერსთან ერთად გაკეთებული საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც მასწავლებლის პროგრამაში არ შედის, ასევე ბავშვებისთვის პირის ღრუს ჰიგიენასთან დაკავშირებული აქტივობა, მინი ბანაკი „METS CAMP"-ი, გოგონათა კალათბურთის ლიგა. ამ მხრივ ძალიან მიწყობს ხელს ინოვაციურ ცენტრში მუშაობა და აქ გაკეთებული პროექტები, მათ შორის Generation/Z -ი.

გარდა ამისა, მშვიდობის კორპუსში მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება. მათი საქართველოში შემოსვლიდან, 2001 წლიდან ვარ მოხალისის პარტნიორი მასწავლებელი. ვფიქრობ, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტია. მთავარი მაინც ის არის, რომ ჩემი მოსწავლეებიდან 12 ინგლისური ენის პედაგოგია. ამასთანავე, ჩემს 2 მოსწავლეს განათლების სისტემაში საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კომისიის წევრები ბაღდათში იყვნენ ჩამოსულები მასწავლებლებთან, მშობლებთან და ბავშვებთან შესახვედრად. როგორც შემდეგ მითხრეს, ყველაფერს ნათელი მოეფინა, როცა ბავშვების თვალებში ჩემდამი ამდენი სითბო, პოზიტივი და სიყვარული დაინახეს. ნათქვამია: ბავშვების თვალები არასოდეს იტყუებიანო.

– რა ეტაპები გაიარეთ კონკურსში?

– სააპლიკაციო ფორმის გაგზავნის შემდეგ შეირჩა 30 პედაგოგი. მოგვეთხოვებოდა ვიდეომიმართვის გაკეთება, თუ რატომ ვთვლიდით თავს ათეულში მოხვედრის ღირსად, რაც საკმაოდ რთული გასაკეთებელი იყო. ხუთეულის შერჩევის მიზნით საირმეში ორდღიანი შეხვედრა გაიმართა, სადაც ჟიურის წევრები გვაკვირდებოდნენ, ვინ როგორ წარმოაჩენდა თავს მათ მიერ დაგეგმილ ამა თუ იმ აქტივობაში. ყველანი ძალიან ვღელავდით, ვინაიდან ათეულის, ხუთეულისა და გამარჯვებულის გამოვლენას შორის საკმაოდ დიდი დრო იყო. ათეულში მოხვედრის შემდეგ იმდენი აღარ მინერვიულია, მაგრამ ხუთეულში რომ ამირჩიეს და გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯი მაშორებდა, უკვე ღელვამ იმატა, თან ყველას გამარჯვების თანაბარი შანსი გვქონდა. მინდა გითხრათ, გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი.

– გვესაუბრეთ სამომავლო გეგმებზე.

– გარდა „ათეულთა კლუბის" სამომავლო გეგმებისა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ჩვენი პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით იგეგმება „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" ათეულის წევრი პედაგოგების სკოლებში მისვლა. ვგეგმავთ გაცვლით შეხვედრებს – ისინიც ჩამოვლენ ბაღდათში ჩვენს პედაგოგებთან შესახვედრად. ასევე სულ მალე ყველანი მივდივართ სენაკში კონფერენციაზე, სადაც ჩვენი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოხდება. გვსურს, მოვუწოდოთ მასწავლებლებს, რომ უფრო გააქტიურდნენ და კონკურსში მიიღონ მონაწილეობა. ასევე ველოდები მიწვევას შარშანდელი გამარჯვებულის ლადო აფხაზავას სკოლაში.

საუბრის ბოლოს მინდა ვისარგებლო და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას სითბოსა და სიყვარულისთვის, ჩემი სიხარულის გაზიარებისთვის.

მარიამ ოქროჭელიძე

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება

თქვენ 6 წლის ვადით ირჩევთ საქართველოს პრეზიდენტს

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!
კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი

გაიარეთ მარკირების პროცედურა

მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი მოათავსეთ მასში

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კენჭისყრაში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის უზრუნველყოფილია:

- **უსინათლო ამომრჩევლისთვის** – ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა
- **მცირემხედველი ამომრჩევლისთვის** – გამადიდებელი ლინზა
- **ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლისთვის** – ადაპტირებულ უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა
- **ყრუ და მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის** – ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი

თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

ცესკოს ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ამომრჩეველს, ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ საშუალება აქვს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში განახორციელოს ვიდეო ზარი და ისარგებლოს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორის მომსახურებით.

ვესაუბრებით ამომრჩევლებს!

ცესკო
საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

WWW.CESKO.GE
+995 32 2 51 09 51

თვიდან თვემდე

***

11 ოქტომბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური განვითარების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში სამუშაო ვიზიტით პიტერ ზებერი (გუნდის ხელმძღვანელი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა II - საქართველოში), ზვიად არჩუაძე (პროექტის ექსპერტი) და ნატა კაკაბაძე (პროექტის კოორდინატორი იმერეთში) სტუმრობდნენ. პროექტის წარმომადგენლობამ მუნიციპალიტეტის მერთან არჩილ გოგსაძესთან, ეკონომიკის სამსახურის უფროსთან მირიან ფულარიანთან, LED ოფიცერთან თინა აბულაძესთან და ადგილობრივ მწარმოებლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა – გააცნო პროექტის მიზნები და პრიორიტეტები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ევროკავშირი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინტეგრირებული პროექტების განხორციელებასა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას.

ბატონმა არჩილმა სტუმრებს წარუდგინა მისი ხედვა მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი მწარმოებლების საჭიროებების, პრობლემური საკითხების, გადაჭრის გზებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ, განიხილეს კერძო სექტორის წინადადებები. მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარებისთვის კერძო სექტორის კონკრეტული საჭიროებების კვლევას, პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის იდენტიფიცირებასა და პროექტის ხელმძღვანელობისთვის წარდგენას მუნიციპალიტეტის მერია უწყვეტ რეჟიმში გააგრძელებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „რეგიონალური განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერა II – საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, 2017 წელს, შემუშავებული და მიღებული იქნა „საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა 2018-2021“. საპილოტედ შერჩეულია სამიზნე რეგიონები: იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი, გურია და კახეთი. ამ ეტაპზე დაწყებულია საპილოტე რეგიონების საჭიროებების, პრობლემური საკითხებისა და გადაჭრის გზების კვლევა, ასევე პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოვლენა.

***

18 ოქტომბერს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ბაღდათში პროექტის – „მოქალაქეთა ინიციატივა ანგარიშვალდებული თვითმმართველობისათვის“ პრეზენტაცია გამართა. პროექტის მიზანია უზრუნველყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ეფექტური თვითმმართველობის განხორციელება, ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. შეხვედრის ბოლოს ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მოიცავს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სოციალური ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას, ინკლუზიური დიალოგისა და პოლიტიკის შემუშავების პლატფორმების შექმნას, საზოგადოების მობილიზებასა და ცნობიერების ამაღლებას.

პროექტი დაფინანსებულია „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი თვითმმართველობისთვის“ პროექტის ფარგლებში და ხორციელდება world vision საქართველოს, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციისა (საეა) და საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პრეზენტაციას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

***

ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს 19 ოქტომბერს განსაკუთრებული სტუმრები ჰყავდა შვედეთიდან. ბენ იანგფელდტი – მაიაკოვსკის შვედი ბიოგრაფი, შესანიშნავი მწერალი, ამჟამად წერს წიგნს ალფრედ ნობელზე. თომას ტიდენი – ნობელის საზოგადოების ხელმძღვანელი, ნობელის შვილთაშვილი, ვადიმ აზბელი – შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრის არქივისტი. სახლ-მუზეუმისა და ლიტერატურული სალონის დათვალიერების შემდეგ შვედმა სტუმრებმა თავიანთი შთაბეჭდილებები „სტუმართა წიგნში“ ჩაწერეს. 20 ოქტომბერს კი ბელარუსის რეპუბლიკის ტურისტული კომპანია „ცენტრკურორტის“ 20-წევრიანი დელეგაცია (კომპანიის მენეჯერი, სხვადასხვა ტურ-ოპერატორების წარმომადგენლები, ჟურნალისტები) ეწვია. კომპანია 16 წელია არსებობს და მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება სხვადასხვა ქვეყნების კურორტ-სანატორიუმების პოპულარიზაცია და დამსვენებლების მოზიდვაა. საქართველოში ვიზიტის მიზანი ჩვენი ქვეყნის კურორტ-სანატორიუმების – ახტალა, წყალტუბო, ბორჯომი, ურეკი და საირმე – გაცნობა და პოპულარიზაციაა. კურორტ საირმით დაინტერესება გასაკვირი სულაც არაა, არც ის არის გასაკვირი, რომ საირმესთან ერთად ბელარუსთა ყურადღების ცენტრში ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმიც მოექცა. სახლისა და ლიტერატურული სალონის დათვალიერების შემდეგ, სტუმრებმა ბაღდათელ მევენახეთა ღვინოებიც დააჭაშნიკეს და ტრიო „იმერეთის“ ტკბილხმოვანებითაც მოიხიბლნენ.

ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობის“ ამ თვის სტუმარი პატარა ხელოვანი მარიამ გელხვიიძეა. ნიჭიერი შემოქმედი მორიდებული რესპონდენტი აღმოჩნდა, ამიტომ „ჩემი გაზეთი“ დედას – ქ-ნ ნინო ეგუტიძეს ესაუბრა. მარიამი 2011 წლის 1 თებერვალს დაიბადა. პატარაობიდანვე განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა ხატვისადმი, 3 წლიდან კი პლასტილინისაგან ძერწვა დაიწყო. თოჯინებს, თავისი დიზაინით, პლასტილინის კაბებს აცმევდა. ამ საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულისა და შრომისმოყვარეობის გამო მშობლებმა ქ. ქუთაისში მოღვაწე მოქანდაკეს კაკო კიკვაძეს აჩვენეს, მას ძალიან მოსწონებია პატარა ხელოვანი და მშობლებს სთხოვა ჯერჯერობით თავის ფანტაზიით იმუშაოს, სპეციალურ პედაგოგთან კი როცა წამოიზრდება, შემდეგ მიიყვანეთო. მარიამის ნამუშევრებით ასევე დაინტერესდა სამხატვრო გალერეის ხელმძღვანელი გოგი ლომთაძე, მან ახლო მომავალში პატარა ხელოვანის გამოფენაში მონაწილეობაც არ გამორიცხა. მარიამის ნამუშევრები 2016-17 წლებში სახალხო დღესასწაულ „ბაღდათობა“-ზე იყო წარმოდგენილი, გარდა ხატვისა და ძერწვისა, მარიამი მუსიკის მოყვარულიც არის. საუბრის დასასრულს მარიამმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ, როცა გაიზრდება „მხატვარი, მძერწავი და დიზაინერი გამოვა“.

„ჩემი გაზეთი“ წარმატებას უსურვებს მას, დაე, მალე ეამაყოს ბაღდათს მარიამის მიღწევებით.

აზა მაშანეიშვილი

წმინდა ანასტასია ფერსათელის სახელობის ტაძარი

18 ოქტომბერს ვანი-ბაღდათის ეპარქიის სოფელ წყალთაშუას წმ. ანასტასია ფერსათელის ტაძარში, წმინდანის ხსენების დღე და ტაძრის დღესასწაული აღინიშნა. ეპარქიის მღვდელმსახურებმა საზეიმო წირვა აღავლინეს.

საქართველოში წმ. ანასტასია ფერსათელის სახელობის ეკლესია ძალიან ცოტაა. ერთ-ერთი მათგანი კი ბაღდათის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ეკლესიის შესახებ საკმაოდ მწირი ცნობებია შემორჩენილი. სავარაუდოდ, ანასტასია ფერსათელის სახელობის დედათა მონასტერი დაარსებულია მე-9 საუკუნის მეორე

ნახევარში და მიეკუთვნება გრიგოლ ხანძთელის მიერ ტაო-კლარჯეთიდან დაწყებულ სამონასტრო მშენებლობათა წყებას. დროთა განმავლობაში იგი თანდათან დაზიანდა და დაინგრა, ტაძარი XVII ს-ში აღადგინეს. საბჭოთა პერიოდში ეკლესია ისევ დაზიანდა, თუმცა კვლავ შეაკეთეს. ძველი ეკლესიის საძირკველი დღემდეა შემორჩენილი. წირვა-ლოცვა დღეს მოქმედ ტაძარში 2010 წლის 18 ოქტომბერს განახლდა.

საქართველოს ისტორიაში ბევრი წმინდანის სახელი ვიცით, მათი უმრავლესობა მამაკაცია. მაგრამ არსებობენ წმინდანი ქალებიც: წმ. შუშანიკი, წმ. თამარი, წმ. ქეთევანი და ა.შ. მათ შორის იხსენიება წმ. ანასტასია ფერსათელი.

წმ. ასურელი მამების მოღვაწეობის შემდეგ, სპარსელთა და არაბთა შემოსევების გამო, საქართველოში შენელდა სამონასტრო ცხოვრება, მაგრამ VIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით ისევ აღდგა სამონასტრო ცხოვრება საქართველოში, ამაში წმ. ანასტასია ფერსათელმაც შეიტანა თავისი მცირეოდენი წვლილი.

ის წარმოშობით აფხაზთა სამეფოდან იყო საერო სახელით – ბევრელი, რომელიც იყო აშოტ კულაპარატის უფროსი შვილის – ადარნასეს ცოლი. როგორც დედოფალი, დიდ დახმარებას უწევდა მერეს დედათა მონასტერს. იგი ცილისწამებების გამო, რომლითაც დედოფალს ადანაშაულებდნენ ქმრის ღალატში, იძულებული შეიქმნა სამეფო მოსასხამი მონაზონის ანაფორაში გაეცვალა და სახელად ანასტასია დაირქვა.

წმ. ანასტასია სიცოცხლის ბოლომდე ფერსათის დედათა მონასტერში მოღვაწეობდა, სადაც ის ყველაზე მძიმე მორჩილების საქმეებს აღასრულებდა.

წმ. ანასტასია სიცოცხლეშიცა და გარდაცვალების შემდგომაც ბევრ სასწაულს ახდენდა. მისი ლოცვაკურთხევით მძიმე სნეულებისაგან განიკურნა ყოფილი ქმარი ადარნასე, ხოლო წმინდა ანასტასია ფერსათელის გარდაცვალების შემდეგ მის საფლავთან განიკურნენ შვილები გურგენ კურაპალატი და სუმბატი. ამან დასაბამი მისცა სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილთა განკურნებას წმინდანის საფლავთან. სამწუხაროდ, დღესდღეობით, არავინ იცის, თუ სად არის დასვენებული წმინდა ანასტასია.

ჯუანშერ გეგეშიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე, აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაკაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“